№427 2015 წლის 19 აგვისტო ქ. თბილისი

საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების - „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ და „ჰ[3]“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტები - „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017“.

მუხლი 2. ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული სტრატეგიული დოკუმენტების იმპლემენტაციის მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა დაწესებულებებმა და მათ სისტემაში შემავალმა უწყებებმა უზრუნველყონ შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**